# რუსეთის რეპრეზენტაცია მე-19 საუკუნის დასაწყისის სამოგზაურო ჟანრის ქართულ ლიტერატურაში

**ნანა აფრიდონიძე**

*შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა კილანავა, ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი ქართული ფილოლოგიისა და ლიტერატურათმცონეობის მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

# განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა აფრიდონიძე

20.06.2025

# აბსტრაქტი

რუსეთის სივრცე არაერთხელ ასახულა ქართულ ლიტერატურაში, ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური გახდა მე-18 - მე-19 საუკუნეებში, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ჯერ გეორგიევსკის ტრაქტატი გაფორმდა, შემდეგ კი რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა. ამ პერიოდიდან ქართველ დიპლომატებს/ელჩებსა და მეფის მხლებელ განათლებულ პირებს ინტენსიურად უწევდათ რუსეთში ვიზიტი. დიპლომატიური მისიის შესრულების პარალელურად, ქართველი მოღვაწეები აღწერდნენ თავიანთ გამოცდილებასაც, შესაბამისად, რუსეთის სივრცე აისახა სამოგზაურო ჟანრის ქართულ ლიტერატურაში.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, სივრცის კვლევების თეორიული ჩარჩოსა და აღწერის ნარატოლოგიური კატეგორიის მიხედვით, გააანალიზდეს, როგორ რეპრეზენტირდება რუსეთი მე-19 საუკუნის, პირველი მესამედის ქართულ სამოგზაურო ტექსტებში.

საკვლევად შერჩეულია მე-19 საუკუნის ქართველ ავტორთა სამოგზაურო ჟანრის პროზაული ტექსტები. ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილ ავტორებს სხვადასხვა მიზეზით უწევდათ მშობლიური მხარის დატოვება და ემიგრაციაში წასვლა. მაგალითად, ქვეყნის არევის მიზეზით, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა ქვეყნის მმართველები იბარებდნენ პოლიტიკური თანამშრომლოსათვის, ზოგჯერ უცხო ქვეყანა წარმოადგენდა მშვიდ ნავსაყუდელს ქართველებისათვის.

ტექსტების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ქართველი მწერლები რუსეთის სივრცეებს წარმოადგენენ როგორც არქიტექტურული კუთხით, ისე თავისი ტრადიციებითა და ხალხით. რუსეთი ქართულ სამოგზაურო ჟანრის ტექსტებში წარმოჩენილია როგორც იმპერიული სივრცე.



**საკვანძო სიტყვები: რუსეთის სივრცის რეპრეზენტაცია, სამოგზაურო ჟანრი, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა.**

## Abstract

The space of Russia has been repeatedly represented in Georgian literature, with this process becoming particularly active in the 18th and 19th centuries. This period marks the signing of the Treaty of Georgievsk between the Kingdom of Kartli-Kakheti and the Russian Empire, followed by the annexation of Georgia by Russia. From that time on, Georgian diplomats, envoys, and educated companions of the king frequently traveled to Russia. As a result, Russian space became a significant element in Georgian travel literature.

The aim of this master's thesis is to analyze how Russia is represented in 19th-century Georgian travel narratives, using the framework of spatial studies and the narratological category of description.

The research focuses on 19th-century prose texts of Georgian authors belonging to the travel genre. The authors selected for this study left their homeland and went into exile for various reasons. Some were forced to emigrate due to political unrest; others were summoned by foreign rulers for political collaboration; in certain cases, foreign countries served as a peaceful refuge for Georgians.

The theoretical framework for analyzing explicit textual data is based on spatial theory and the narrative category of description.

The analysis of the texts reveals that Georgian authors represent Russian space through architectural features, traditions, and depictions of people. In many cases, Russia is portrayed as an imperialist space.

**Keywords: representation of Russian space, travel genre, 19th-century Georgian literature**